

1886 წელი

საქართველოს ძველი ისტორიისა და მწერლობის განძი

(ძველ-ქართულ ხელნაწერთა და სიგელ-გუჯართა აღწერის საჭიროებაზე)

ვინ არ იცის, რომ ჩვენს მონასტრებსა და ძველის-ძველს ეკლესიებში მრავალი საისტორიო განძი მოინახება, რომ გული გულობდეს. ჩვენი ისტორია, ჯერ კრიტიკის ცეცხლში არ-გატარებულა და არ-გადახალისებული, ბევრს საბუთს და მოწმობას მოიპოვებდა, მრავლის ბნელის ადგილების შუქმოსაფენად, რომ ცნობილი და გამოქვეყნებული იყოს ყოველი იგი ნაშთი ჩვენის განვლილის ცხოვრებისა, რომელიც დღეს კიდევ ზედ აჩნევია ჩვენთა მამა-პაპათა ხელთნაქმართა და ჭკუით ნამოქმედართა. ეხლა ყოველივე ეს თვალთაგან მიფარებულია და დამარხულია მონასტერთა და ეკლესიების კედელთა შორის და ანუ მონასტრისა და ეკლესიების სალაროში. სხვა რომ არა ვსთქვათ რა, ყოველ ეჭვ-გარეთ უნდა იყოს, რომ მონასტერთა და ეკლესიების სალაროში მრავალი წიგნი კიდევ მოიპოვება. ჯერ მარტო დავით-გარესჯის მონასტერში ასზედ მეტი წიგნი აღმოჩენილა და მათ შორის ზოგი იმისთანაა თავისი სიძველით, რომ ფასდაუდებელია. რამდენი სხვა ამისთანა მონასტერია ჩვენს ქვეყანაში და რამდენი წიგნი უნდა აღმოჩნდეს ამ მონასტრებში, ვინ მოსთვლის.

კარგი იქნებოდა და დიდს ღვაწლს გაუწევდნენ ჩვენს ძველ ლიტერატურის ისტორიას ცალკე და ცხოვრებისას საერთოდ, რომ ამ ძვირფასის განძის სიები, კატალოგები შესდგეს, თვითოეულად აღნუსხულ იქმნას, რა წიგნია, ვისგან არის შედგენილი, რა დროს ეკუთვნის, რა ზედწარწერანი აქვს და მებრვე სხვა. რასაკვირველია, ეს შეუძლიანთ ღირსეულად შეასრულონ მარტო მათ, ვისაც ხელი მიუწვდებათ, ვინც ახლო უდგანან ამისთანა განძსა. ჩვენი ბერ-მონაზონები და სამღვდელონი, რომელთაც აბარიათ სალარონი მონასტრებისა და ეკლესიებისა, დიდს ვალს დასდებენ ჩვენს ქვეყანასა, რომ ამ საჭიროებას ყურადღება მიაქციონ, და რაც მათდამი მინდობილს სალაროში წიგნებია, იმის სია ანუ კატალოგი შეადგინონ, როგორც ვსთქვით, და რომელსამე გაზეთში დაჰბეჭდონ გამოსაქვეყნებლად. გვერწმუნონ, რომ ეს დიდი და სასახელო საქმეა, დიდს და სასახელო სამსახურს გაუწევენ ამით ჩვენს ქვეყანას და თვით მეცნიერებასაც: ამ სიების შემადგენელთა სახელი ყოველთვის მაღლობით მოიხსენიება შთამომავლობის მიერ.

არა ნაკლებ საქებნი და სადიდებელნი იქმნებიან ერის-კაცნიც, რომელნიც არ დაიზარებენ და გამოაქვეყნებენ, სად და ვისთან ეგულებათ ქართული ხელნაწერი წიგნები, გუჯრები, სიგელები, და თუ ხელი მიუწვდებათ, ყოველ ამის სიას შეადგენენ და გადასცემენ რომელსამე გაზეთს დასაბეჭდად. ვიმეორებთ, ეს ამისთანა შრომა სრული არ იქნება, თუ გულმოდგინებით გამოძიებული არ იქნა და სიაში მოხსენებული თვითოეული წიგნი, გუჯარი და სიგელი იმ მხრით, თუ რა წიგნია, რა გუჯარი, რა სიგელი, ვისგან არის დაწერილი, შედგენილი, თუ მიცემული, რა დროს ეკუთვნის, რა ზედწარწერანი აქვს და არის რამ შესანიშნავი მის გარეგნობაში თუ არა.

ნუ ვინ იფიქრებს, რომ ეს ამისთანა შრომა დიდის მადლობის ღირსი არ იყოს და დიდად საქებურიც მისთვის, ვინც თავის სასახელოდ ამას იკისრებს და გულმოდგინებით შეასრულებს. დაგვიჯერეთ, ეგ დიდი საქმეა და დიდი სამსახურია ჩვენის ქვეყნის წინაშე.

ჩვენი გაზეთი ყოველთვის მზად იქნება დაბეჭდოს ყოველივე, რასაც ამ საგანზედ ვინმე მოაწვდის რასმე.